

დანართი 1

მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესი

მუხლი 1. მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, მისი ცალკეული კომპონენტების ჩასატარებლად, საათობრივი ანაზღაურებით პერსონალის (პედაგოგების) მოწვევის წესი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) “ზაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტი, ბათუმი“ წესდებისა და შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად. შერჩევის საფუძველია - გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვა.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის სრულყოფილად უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტი იწვევს კონკრეტული სასწავლო კურსის განსახორციელებლად, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირს;

მოწვეული პედაგოგის კვალიფიკაცია შეიძლება დადასტურდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების გამოცდილებით, აკადემიური ხარისხით, განსახორციელებელი სასწავლო კურსის შესაბამის დარგში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატით (ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში);

მოწვეული პედაგოგი უფლებამოსილია წაიკითხოს ლექცია, გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე;

წინამდებარე წესით განისაზღვრება უნივერსიტეტში საათობრივი ანაზღაურების წესით მოსაწვევ პედაგოგთა შერჩევის კრიტერიუმები და პირობები. ერთიდაიგივე სასწავლო კურსზე (საათებზე) 2 ან მეტი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე;

მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესს შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;

პროცედურის ძალადაკარგულად ცნობა ან მასში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება აქვს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 3. მოწვეულ პედაგოგთა სამსახურში მიღება

1. მოწვეულ პედაგოგთა მიღება წარმოებს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით საქართველოს კანონმდებლობით და შრომის კოდექსით გათვალისწინებული წესით;
2. მოწვეულ პედაგოგთა ანაზღაურება ხდება ჩატარებული საათების შესაბამისად ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე. გარდა ამისა, მოწვეული პედაგოგი შეიძლება აყვანილ იქნას სრულ შტატზე შესრულებული საათების რაოდენობისაგან დამოუკიდებლად, სახელფასო ტარიფი განისაზღვრება პარტნიორთა კრებასთან შეთანხმებით;

3. მოწვეულ პერსონალთან ფორმდება ხელშეკრულება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. პედაგოგების მოწვევის პირობები და შერჩევის კრიტერიუმები

1. ფაკულტეტის მიერ დადგენილ სააუდიტორო საათებზე პედაგოგების მოწვევა ხორციელდება შერჩევის გზით;
2. შერჩევის პროცესში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
 - 2.1. განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე;
 - 2.2. მაგისტრის/დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის განათლების დამადასტურებელი საბუთი;
 - 2.3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
 - 2.4. ორი, 3X4 ფორმატის ფოტოსურათი;
 - 2.5. ავტობიოგრაფია - CV;
 - 2.6. კომპეტენციის დამადასტურებელი დამატებითი საბუთების (სერტიფიკატების, გამოქვეყნებული კვლევითი და სასწავლო-მეთოდური ხასიათის შრომების, სხვა უსდ-ში ანალოგიური სასწავლო კურსის სწავლების გამოცდილების, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ები) ქსეროასლები;
 - 2.7. ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან უსდ-ში ინგლისურ ენაზე სწავლების გამოცდილება, ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან უცხოურ ორგანიზაციაში ინგლისურ ენაზე მუშაობის გამოცდილება. იმ შემთხვევაში თუ კანდიდატი ვერ ადასტურებს ინგლისური ენის შესაბამის ცოდნას აბარებს ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელ გამოცდას.
 - 2.8. სილაბუსი გამოცხადებულ სასწავლო კურსში (იმ შემთხვევაში თუ პედაგოგმა უნდა წაიყვანოს სალექციო კურსი);
3. კონკურსის არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტებს ევალება ლექციის ან პრაქტიკული /ლაბორატორიული მეცადინეობის ჩატარება განსახორციელებელი აქტივობის შესაბამისად.
4. სამსახურში აყვანის შემთხვევაში უნივერსიტეტი აფორმებს შრომით ხელშეკრულებას მოწვეულ პედაგოგთან (იხ. დანართი 2).

“ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“
სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორს, პროფესორ ისმეთ დინდარს
მოქალაქე _____

(სახელი, გვარი, მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, მომიწვიოთ საათობრივი ანაზღაურების წესით “ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის ----- ფაკულტეტის -----
----- საგანმანათლებლო პროგრამა -----
----- (სალექციო/პრაქტიკული/
ლაბორატორიული) სასწავლო კურსის წასაყვანად.

ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები სასწავლო უნივერსიტეტის “ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ „მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წეს“.

ხელმოწერა:

თარიღი:

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი/ ელ.ფოსტა

პირობითი შრომითი ხელშეკრულება

ქ. ბათუმი

_____ 2014 წ.

ერთი მხრივ, კერძო სამართლის იურიდიული პირი სასწავლო უნივერსიტეტი „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“ - ს (ს/ნ 445434888), წარმოდგენილი მისი რექტორის _____ სახით (შემდგომში - „დამსაქმებელი“) და მეორე მხრივ, მოქალაქე _____ (პირადო ნომერი _____) (შემდგომში - „დასაქმებული“), საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“, უნივერსიტეტის წესდებისა და შინაგანაწესის საფუძველზე, შევთანხმდით შემდეგ ზე:

მუხლი 1. პირობითი ხელშეკრულების საგანი

დასაქმებულის (ბაუ-ს მოწვეული პედაგოგი) _____

მიერ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის „მედიცინა“ პროგრამული აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტში „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“ „მედიცინის“ ფაკულტეტზე,

(საბაზისო მეცნიერებათა, კლინიკურ მეცნიერებათა) _____

(ხაზი გაუსვით, თუ რომელი) დეპარტამენტში, _____

_____ სასწავლო კურსის

(ების) წაყვანა საათობრივი ანაზღაურების წესით.

მუხლი 2. დამსაქმებლის უფლება-მოვალეობანი

2.1. დამსაქმებულს უფლება აქვს:

2.1.1. მოსთხოვოს დასაქმებულს თავისი კომპეტენციის ფარგლებში „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და შინაგანაწესის მოთხოვნათა შესრულება;

2.1.2. დააზუსტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რამაც არსებითად არ უნდა შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

2.1.3. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაავალდებულოს დასაქმებული, რათა მან შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო შესაბამისი ანაზღაურებით;

2.1.4. დასაქმებული ძირითადი სამუშაო ადგილიდან მიავლინოს სხვაგან სამუშაოს შესასრულებლად;

2.1.5. კანონმდებლობის ფარგლებში წახალისოს დასაქმებული ან პირიქით, უნივერსიტეტის აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში გაატაროს მის მიმართ ადმინისტრაციული ზომები, მათ შორის დაუქვითოს არასაპატიო მიზეზით გაცდენილი საათების ღირებულება;

2.2. დამსაქმებელი ვალდებულია:

2.2.1. შეუქმნას დასაქმებულს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობები;

2.2.2. უნივერსიტეტის აქტებითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურება;

მუხლი 3. დასაქმებულის უფლება– მოვალეობანი

3.1. დასაქმებულის უფლება აქვს:

3.1.1. სამუშაოს შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა;

3.1.2. მოითხოვოს და მიიღოს უნივერსიტეტის აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;

3.1.3. ისარგებლოს დასვენებისა და უქმე დღეებით, აგრეთვე წინამდებარე ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყოველწლიური ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებით;

3.2. დასაქმებული აღიარებს რა, რომ გაცნობილია უნივერსიტეტის წესდებასა და შინაგანაწესს ვალდებულია:

3.2.1. შეასრულოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს შრომის კანონმდებლობით, ბაუ-ს მართვის ორგანოთა აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი და ეთიკის ნორმები;

3.2.2. ხელშეკრულების ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში. შეავსოს „სტუდენტის დასწრების აღრიცხვისა და შეფასების ჟურნალი“ და შეფასების უწყისი“; ბაუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ფორმების შესაბამისად;

3.2.3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში იზრუნოს საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო და სალექციო კურსის/მოდულის შემდგომ სრულყოფა-გაუმჯობესებაზე და სასწავლო პროცესში გამოიყენოს ბაუ-ში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები.

3.2.4. აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასა და მართვაში;

3.2.5. გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ, სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს მისი დაბრუნება უფლებამოსილი პირისათვის, ბაუ-ში მოქმედი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურება

4.1. დამსაქმებელი დასაქმებლის შრომას ანაზღაურებს ერთი აკადემიური საათის ჩატარებისათვის ბაუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული ღირებულებისა და დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს (ჩატარებული საათების) შესაბამისად.

მუხლი 5. ხელშეკრულების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გავლის, საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედებიდან, -----
----- დან და მოქმედებს 1 სასწავლო წლის ვადით;

5.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სილაბუსის შინაარსიდან არსებითი გადახვევა;

გ) სამეცნიერო ნაშრომის (სამეცნიერო სტატია, საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო), სტუდენტის ცოდნის არაობიექტური შეფასება ან პლაგიატი;

დ) პროტექციის გზით სტუდენტის შეფასების შედეგებზე ზემოქმედება;

ე) გამორჩენის მიზნით სტუდენტისათვის დამატებითი მომსახურების გაწევა;

ვ) სასამართლოს მიერ მისი შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუუნაროდ ცნობა;

ზ) გარდაცვალება;

თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და დამსაქმებლის სხვა აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევები.

მუხლი 6. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს წესით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება დამსაქმებელთან, ხოლო მეორე - დასაქმებულთან.

7.2. ხელმოწერებით მხარეები ადასტურებენ თანხმობას წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსზე.

მხარეთა ხელმოწერები

„დამსაქმებელი“

„დასაქმებული“

სასწავლო უნივერსიტეტი „ბაუ
ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“
წარმომადგელი (რექტორი)

სახელი, გვარი -----

პ/მ№ -----
პ/ნ -----
ფაქტიური მისამართი -----

რეგისტრ.მისამართი -----

ელ.მისამართი: -----
საკონტაქტო ტელეფონი: -----